




სახელმძღვანელო

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების
სასწავლო პროგრამების მიმწოდებელთათვის



სსიპ -ვანო ხუხუნიაშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და
ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი
დოკუმენტი შემუშავებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით

2016

სარჩევი

შესავალი	2
ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამ(ებ)ის შემუშავების პროცესის აღწერა	3
სტანდარტები და კრიტერიუმები	5
სტანდარტი 1. სასწავლო პროგრამის შინაარსი	5
ა) სტანდარტისა და კრიტერიუმების აღწერა/განმარტება	
ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები	
გ) საკონტროლო კითხვები	
სტანდარტი 2. სასწავლო პროგრამის რესურსები	20
ა) სტანდარტისა და კრიტერიუმების აღწერა/განმარტება	
ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები	
გ) საკონტროლო კითხვები	
სასწავლო პროგრამის შემოწმების ფურცელი	24
სასწავლო გეგმის შემოწმების ფურცელი.....	25
დამატებითი დოკუმენტაციის შემოწმების ფურცელი	26
სასწავლო პროგრამის წარდგენისა და შეფასებისას გამოკვეთილი გამოწვევები	27
სასწავლო პროგრამების განხორციელების სამართლებრივი რეგულაცია.....	28

შესავალი

დოკუმენტის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების მიმწოდებელთათვის განმარტებებისა და რეკომენდაციების მიცემა, რათა მათ მიერ შემუშავებულმა სასწავლო პროგრამებმა ხელი შეუწყოს ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული მოხელეებისათვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების ხარისხი და მათი ჯეროვნად განხორციელება დამოკიდებულია სასწავლო პროგრამის მიმწოდებელზე. ამ მიმართულებით, მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა, ხარისხიანი პროგრამის შემუშავების პრინციპები და პროგრამის ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნების (შეფასების სტანდარტები) გამჭვირვალობა აუცილებელი პირობაა სასურველი შედეგის მისაღებად.

აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელოში აღწერილია შემდეგი ასპექტები:

- პროცესის თვალსაჩინო აღწერა
- სასწავლო პროგრამის სწორად შემუშავება
- სასწავლო პროგრამის სტანდარტებისა და კრიტერიუმების მოთხოვნების დეტალური აღწერა
- პროგრამის შემუშავებისას არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის გზები
- პროგრამის ხარისხის შეფასების აღწერა
- პროგრამის თანდართული დოკუმენტაციისა და შესავსები ფორმების შინაარსობრივი განმარტება და სისიტემატიზაცია

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამ(ებ)ის შემუშავების პროცესის აღწერა


ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამ(ებ)ის შემუშავების პროცესის აღწერის მიზანია სასწავლო პროგრამის მიმწოდებლისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის პროცესის მიმდინარეობის თვალსაჩინოდ წარმოჩენა.

პროცესების რუკა

პროცესში ჩართული მხარეები

ვადები

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამ(ებ)ის შემუშავების დინამიკა





სტანდარტები და კრიტერიუმები

სტანდარტი 1. სასწავლო პროგრამის შინაარსი

სასწავლო პროგრამის შინაარსი უნდა უზრუნველყოფდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობრივი უფლებამოსილებების შესრულებისათვის საჭირო ცოდნის შექმნასა და უნარ-ჩვევების განვითარებას.

სასწავლო პროგრამა შეესაბამება სასწავლო პროგრამის შინაარსის სტანდარტს, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს

ა) სასწავლო პროგრამის სახელწოდება შეესაბამება სასწავლო პროგრამაში მითითებულ სწავლების სფეროს

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა სწავლების სფეროები წინასწარ არის იდენტიფიცირებული და ასახულია სსიპ-ვანო ხუხუნიაშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) დირექტორის 2016 წლის 1 მარტი №ს/6 ბრძანების №4 დანართში, ასევე ცენტრის სასწავლო პროგრამებისა და სწავლების საჭიროებების რეესტრში (<http://edu.lsg.gov.ge/>). სასწავლო პროგრამის სახელწოდება უნდა იყოს ფორმულირებული სასწავლო პროგრამის შესასწავლი თემების, სწავლების მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე. სახელწოდება არ უნდა იყოს აბსტრაქტული, ორაზროვანი და უნდა იძლეოდეს სასწავლო პროგრამაში მითითებულ სწავლების სფეროსთან შესაბამისობის დადგენის საშუალებას.

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

პროგრამის სახელწოდება ნათელს ხდის პროგრამის განხორციელების მიმართულებას და არ იწვევს აზრთა სხვადასხვაობას სასწავლო პროგრამაში მითითებულ სწავლების სფეროსთან (<http://edu.lsg.gov.ge/>); ცენტრის დირექტორის 2016 წლის 1 მარტი №ს/6 ბრძანების №4 დანართი) შესაბამისობის დადგენისას. პირველ რიგში, უნდა შეირჩეს რომელ სწავლების სფეროს შეესაბამება პროგრამა და მოინიშნოს ის, ხოლო თუ ჩამოთვლილი კონკრეტული სფეროებიდან არც ერთს არ შეესაბამება, ამ შემთხვევაში, სწავლების სფეროში უნდა მიეთითოს - „სხვა“ და მომდევნო გრაფაში განიმარტოს ან იდენტიფიცირდეს სფერო.

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ აღნიშნული სახელწოდება შესაძლო ვარიანტთაგან საუკეთესოა?
- ✓ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება სწავლების სფეროს?
- ✓ „სხვა“-ს მითითების შემთხვევაში, განმარტება სარწმუნო და არგუმენტირებულია?

ბ) სასწავლო პროგრამის მიზნები შეესაბამება სწავლების სფეროს, ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

სასწავლო პროგრამის მიზანი არის პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი განაცხადი, რომელზე დაყრდნობით იგება პროგრამის შემდეგი კომპონენტები. ნათლად, რეალისტურად და სასწავლო სფეროსადმი გააზრებულად მიკუთვნებული მიზანი არის კრიტერიუმის მოთხოვნა.

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

ყველა სასწავლო პროგრამას აქვს მიზანი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის გავლის შემდეგ სასწავლო პროცესის შედეგს. შესაბამისად, მიზნები უნდა შეესაბამებოდეს სწავლების სფეროს. პროგრამის მიზნები ყოველთვის უნდა იყოს ფორმულირებული ნათლად და არაორაზროვნად, უნდა იყოს თანმიმდევრული და არაურთიერთგამომრიცხავი. პროგრამის მიზანი აგრეთვე უნდა იყოს რეალისტურად მიღწევადი პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული დროისა და მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინებით. ზოგადი ხასიათის მიზნები, რომლებიც არ აკონკრეტებენ სწავლის შედეგს, არ მიიჩნევა ნათლად ჩამოყალიბებულად.

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ რამდენად არის კრიტერიუმი დაკმაყოფილებული?
- ✓ გააზრებულია პროგრამის შეთავაზების მიზეზი?
- ✓ მიზანი მიღწევადია დაგეგმვის გათვალისწინებით?
- ✓ მიზანი ფორმულირებულია ნათლად, პასუხობს პროგრამის შინაარსს და არ იწვევს ორაზროვნებას?
- ✓ როგორაა მიზნებში აღწერილი საჯარო მოხელის მიერ სამუშაოს შესრულების ეფექტურობის გაზრდა?
- ✓ პროგრამის მიზნები შეესაბამება არჩეულ სწავლების სფეროს?
- ✓ გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საჭიროებები?

გ) სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სასწავლო პროგრამის მიზანს/მიზნებს;

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

სასწავლო პროგრამაში მიზან-შედეგობრივი კავშირის ადეკვატური ბმა არის სასწავლო პროგრამის აუცილებელი კომპონენტი. სწავლების მიზანი და სწავლის შედეგი არის სრულ კორელაციაში.

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს მსმენელთა მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და კომპეტენციების მიღწევას, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას.

სწავლების შედეგი უნდა აღიწეროს ცოდნისა და უნარების მიხედვით. იგი მოიცავს ჩამონათვალს იმის შესახებ, თუ რა იცის და რისი გაკეთება შეუძლია პროგრამის მონაწილეს სწავლების ყოველი ეტაპის/თემის დამთავრებისას.

კომპეტენციები¹ სასწავლო გეგმის კომპონენტში აღწერილია სწავლის შედეგებით, რომლებზეც შესაძლებელია დაკვირვებისა და შეფასების განხორციელება.

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ სწავლის შედეგები შეესაბამება დასახულ მიზნებს?
- ✓ სწავლის შედეგებში სრულად არის ასახული პროგრამის მიზნები?
- ✓ სწავლის შედეგები ფორმულირებულია ცოდნისა და უნარების მიხედვით (მსმენელმა იცის; მსმენელს შეუძლია)?

დ) სასწავლო პროგრამაში, მისი მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, ადეკვატურად არის განსაზღვრული მიზნობრივი ჯგუფი და სასწავლო პროგრამაში დაშვების წინაპირობა

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

ნებისმიერი სასწავლო პროგრამა საზღვრავს იმ სეგმენტს, რომელზეც შინაარსობრივად მორგებულია პროგრამა (სასწავლო მიზნები, სწავლის შედეგები და სხვა).

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამების მომხმარებლები არიან ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები. სწორედ ისინი წარმოადგენენ სასწავლო პროგრამის მიზნობრივ ჯგუფს და მიზნობრივი ჯგუფის მითითება პროგრამაში აუცილებელია. ასევე, შესაძლებელია, დაკონკრეტდეს მათი თანამდებობრივი მდგომარეობა ან/და შესასრულებელი სამუშაო.

სასწავლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა აყენებს იმ ცოდნისა და უნარების საბაზისო მოთხოვნებს, რომლებითაც აღჭურვილი უნდა იყოს პროგრამის მსმენელი, რათა მიღწეული იქნეს სწავლის შედეგი. პროგრამის მიმწოდებელმა, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია არ მოითხოვოს საბაზისო ცოდნისა და უნარების ფლობის აუცილებლობა.

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ლოგიკურია?
- ✓ ნათლად არის განსაზღვრულია მიზნობრივი ჯგუფი?

¹ შინაარსობრივი თვალსაზრისით სასწავლო პროგრამასა და სასწავლო გეგმაში სწავლის შედეგები (კომპეტენციები) იდენტურია

- ✓ დაკონკრეტებულია მიზნობრივი ჯგუფის თანამდებობრივი მდგომარეობა ან/და შესასრულებელი სამუშაო (არსებობის შემთხვევაში)?
- ✓ უყენებს პროგრამა მსმენელს საბაზისო ცოდნისა და უნარების ფლობის აუცილებლობას?
- ✓ პროგრამი მიზნები და სწავლის შედეგები გაითვალისწინეთ მიზნობრივი ჯგუფისა და დაშვების წინაპირობის განსაზღვრისას?

ე) სასწავლო პროგრამაში, მისი მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, ადეკვატურად არის განსაზღვრული მონაწილეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

კრიტერიუმი განსაზღვრავს სასწავლო პროგრამაზე მსმენელთა რაოდენობისა და მისი ადეკვატურად გადანაწილების დიაპაზონს, პროგრამის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე.

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

პროგრამის სწავლის შედეგის მისაღწევად და მიზნების რეალიზებისთვის აუცილებელია განისაზღვროს მსმენელთა ის გონივრული რაოდენობა, რომლის პირობებშიც ეჭვქვეშ არ დადგება მიზნის მიღწევის და სწავლის შედეგების დადგომის შესაძლებლობა. მსმენელთა განსაზღვრული რაოდენობის პირობებში სასწავლო პროცესის მიმდინარეობაში ჩართული უნდა იყოს ყველა მათგანი და საფრთხე არ უნდა შეექმნას პროგრამით დაგეგმილი სწავლების მეთოდების, დამსწრეთა შეფასებისა და სასწავლო რესურსის გამოყენების შესაძლებლობას.

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ სწავლების მიზნები რეალიზდება არსებული რაოდენობის მსმენელების პირობებში?
- ✓ სწავლის შედეგები მიიღწევა ამ რაოდენობის მსმენელებში?
- ✓ მსმენელთა ადეკვატურად შეფასების შესაძლებლობა და სწავლის შედეგების გაზომვა რეალისტურია?
- ✓ სასწავლო რესურსი გადანაწილდება ყველა მათგანზე?

ვ) სასწავლო პროგრამაში განსაზღვრული სწავლების ფორმა შეესაბამება სწავლებისა და შეფასების მეთოდებს

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

სასწავლო პროგრამაში განსაზღვრულია სწავლების სავარაუდო ფორმებიდან ერთ-ერთი:

- მოკლევადიანი ტრენინგი (არაუმეტეს 30 საკონტაქტო საათისა)
- ტრენინგი გრძელვადიანი (30 საკონტაქტო საათზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 100 საკონტაქტო საათისა)

- სემინარი (არაუმეტეს 6 საკონტაქტო საათისა)
- სამუშაოსგან მოუწყვეტლად სწავლება
- დისტანციური სწავლება

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

სწავლების ფორმის შერჩევას ყურადღება უნდა გამახვილდეს სწავლების და შეფასების მეთოდების დაგეგმვაზე.

სწავლების ფორმა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, საფრთხე არ შეექმნას დაგეგმილ სწავლების მეთოდების განხორციელებას და შეფასებაც იყოს რელევანტური.

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ *განსაზღვრულია სწავლების ფორმა?*
- ✓ *განსაზღვრული სწავლების ფორმის პირობებში სწავლების მეთოდები შეუფერხებლად განხორციელდება?*
- ✓ *დაგეგმილი სწავლების ფორმა იძლევა მსმენელთა გამჭვირვალე და ადეკვატური შეფასების შესაძლებლობას?*

ზ) სასწავლო პროგრამის მოცულობა ემყარება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS). კრედიტები განაწილებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებად

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა (ECTS) მსმენელზე ორიენტირებული სისტემაა, რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას. მისი მიზანია ხელი შეუწყოს სასწავლო პროგრამის კომპონენტების დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას, სასწავლო პროგრამის კომპონენტის/კომპონენტების ცოდნისა და უნარების შეფასებას.

კრედიტები განაწილებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებად.

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

სასწავლო პროცესის ხანგრძლივობის დაგეგმა უნდა განხორციელდეს (ECTS) კრედიტების შესაბამისად. მისი დანიშნულებაა აკადემიური დატვირთვის ასახვა, რომელიც მსმენელს სჭირდება სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. მსმენელის საქმიანობის შესაფასებლად გამოყენებული კრედიტი არის ერთეული, რომელიც განსაზღვრავს მსმენელის მიერ სასწავლო პროგრამის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში-საათებში და ერთი კრედიტი მოიცავს მსმენელის სასწავლო საქმიანობის დიაპაზონს 25-30 საათის ფარგლებში (აღნიშნულ საათებში შედის როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები).

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ *სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა განსაზღვრულია (ECTS) კრედიტებში?*
- ✓ *სწორად არის განსაზღვრული კრედიტის საათობრივი მაჩვენებელი, ანუ 1 კრედიტი არ არის 25 საათზე ნაკლები და 30 საათზე მეტი?*
- ✓ *კრედიტი მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს?*

თ) სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემები განსაზღვრულია ცენტრის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, რაც დასტურდება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროგრამის თემების დადგენის ანგარიშით ან შეესაბამება ცენტრის მიერ დადგენილ თემატიკას (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

კრიტერიუმის მიზანია პროგრამის მიმწოდებელმა მსმენელის საჭიროებებს მაქსიმალურად მთარგოს პროგრამის კომპონენტები.

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

ცენტრის დირექტორის 2016 წლის 1 მარტის №ს/6 ბრძანების დანართი №7-ით განსაზღვრულია ფორმა, რომელიც აერთიანებს ყველა საჭირო ინფორმაციას.

სასწავლო პროგრამის შესასწავლი თემები შეიძლება განისაზღვროს ორი გზით:

ა) ცენტრის მიერ დადგენილ თემატიკაზე დაყრდნობით და/ან

ბ) განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროგრამის თემების დადგენის ანგარიშით, ანუ ზემოაღნიშნული ფორმა ივსება პროგრამის მიმწოდებლის მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება ეყრდნობოდეს:

- ინტერვიუს ანგარიშს
- გამოკითხვის ანგარიშს
- ფოკუს-ჯგუფის ანგარიშს
- შესწავლილი თეორიული მასალის ლინკებს
- გამოყენებულ საექსპერტო დასკვნას
- სხვა

რომელიც უმჯობესია, თან უნდა ერთვოდეს ანგარიშს მტკიცებულების სახით.

თემების დადგენის ანგარიშში შემავალი კომპონენტების განსაზღვრა:

მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამით შესასწავლი თემების დადგენისათვის განხორციელებული, დასაბუთებული/არგუმენტირებული ინფორმაციის მოძიების ანგარიშის წარმოდგენა:

➤ **ინფორმაცია განმახორციელებლის შესახებ**

შესაძლებლია, გარდა პროგრამის მიმწოდებელის (იურიდიული პირი ან ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირი) დასახელებისა, მიეთითოს თემების დადგენის, მოკვლევის განმახორციელებლის შესახებ ინფორმაცია.

➤ **ჩატარების არეალი და ვადები**

მიეთითება, თუ როდის/სად ჩატარდა თემების დადგენის ანგარიშის მტკიცებულებების მოპოვება.

➤ **გამოყენებული მეთოდოლოგია**

მიეთითება ის მეთოდოლოგიური მიმართულებები, რომლებიც გამოყენებულ იქნა სასწავლო პროგრამის თემების შემუშავებისას.

1. ვინ არის სასწავლო პროგრამის სამიზნე ჯგუფი?

სასწავლო პროგრამასა და ანგარიშში მითითებული სამიზნე ჯგუფები იდენტური უნდა იყოს.

2. რა კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებს სამსახურებრივი თანამდებობა სამიზნე ჯგუფის მოხელეებს? რა არის მათი ყოველდღიური სტანდარტული სამუშაო?

მიეთითება ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის სამუშაოს აღწერა, მათი თანამდებობრივი ინსტრუქციები, ყოველდღიურად მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს მიმოხილვა.

ჩამოთვალეთ შესასრულებელი მოვალეობები და ამოცანები

• **მოვალეობა 1**

მიეთითება ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ერთი კონკრეტული სამსახურებრივი მოვალეობა

• **ამოცანა 1**

მიეთითება ზემოაღნიშნული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის დაგეგმილი ამოცანა²

3. რა ცოდნასა და უნარებს უნდა ფლობდნენ სამიზნე ჯგუფის მოხელეები იმისათვის, რომ აღნიშნული მოთხოვნები დააკმაყოფილონ და ყოველდღიური საქმიანობა შეასრულონ?

ცოდნა

² მოვალეობებისა და ამოცანების სია გრძელდება საჭიროებებიდან გამომდინარე.

რა ცოდნას უნდა ფლობდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე სამუშაოს ეფექტურად შესრულებისათვის? ჩამოწერეთ.

უნარები

რისი გაკეთება უნდა შეეძლოს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე სამუშაოს ეფექტურად შესრულებისათვის? ჩამოწერეთ.

4. რა ცოდნას მიიღებენ აღნიშნული მოხელეები სასწავლო პროგრამის განხორციელების შედეგად?

ჩამოწერეთ პროგრამის გავლის შემდეგ რა ეცოდინება მსმენელს.

5. რა უნარ-ჩვევები განუვითარდებათ აღნიშნულ მოხელეებს სასწავლო პროგრამის განხორციელების შედეგად?

ჩამოწერეთ პროგრამის გავლის შემდეგ რისი გაკეთება შეეძლება მსმენელს.

6. ჩამოთვალეთ რა თემები უნდა შევიდეს სასწავლო პროგრამაში თქვენ მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად (შესაბამისი ცოდნისა და უნარების გასავითარებლად)

ჩაიწერება სასწავლო პროგრამის თემების ჩამონათვალი.

თემა 1. როგორ უკავშირდება თემა სასწავლო პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებს?

სასწავლო პროგრამას აქვს სწავლის მიზანი და შედეგი. ეს უკანასკნელი დაკონკრეტებულია პროგრამის სასწავლო გეგმაში, სადაც გაწერილია სესიებისა და დღეების მიხედვით მსმენელის მიერ ათვისებული ცოდნა და უნარები. თითოეულ შესასწავლ თემას³ უნდა მიეთითოს სწავლის შედეგი და მათი კავშირი პროგრამის მიზნებთან.

7. რა არის ის საჭირო დანადგარები/მასალები და აღჭურვილობა, რომლებიც აღნიშნულ მოხელეებს სჭირდებათ ყოველდღიური საქმიანობის შესრულებლად?

ჩამოთვალეთ ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებისათვის საჭირო დანადგარები/მასალები, რომლებიც მას დასჭირდება სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების ადგილზე.

³ თემების სია გრძელდება საჭიროებებიდან გამომდინარე

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ განსაზღვრეთ თემების დადგენის ადეკვატური გზა?
- ✓ ისარგებლეთ ცენტრის მიერ დადგენილი თემატიკით? (<http://edu.lsg.gov.ge/>)
- ✓ მოთხოვნების შესაბამისად შეავსეთ თემების დადგენის ანგარიში?
- ✓ თქვენ მიერ დადგენილი თემები ემსახურება ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა სამუშაოს შესრულების ეფექტურობის ამაღლებას?
- ✓ თქვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია სარწმუნოა?
- ✓ ანგარიშს დაურთეთ მტკიცებულება?

ი) სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემები შეესაბამება სწავლის შედეგებს

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

კრიტერიუმი ადგენს, რამდენად არის კორელაციაში სასწავლო პროგრამის თემების ჩამონათვალი პროგრამის მისაღწევ შედეგთან.

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

სასწავლო პროგრამის თემები ისეა ქრონოლოგიურად და შინაარსობრივად დალაგებული, რომ ისინი უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას.

თითოეული სწავლის შედეგი აღიწერება თემის ან თემების ერთობლიობის მიხედვით.

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ სასწავლო პროგრამაში ფორმულირებულია საჭირო თემატიკა?
- ✓ თითოეულ თემას მსმენელი გაჰყავს სწავლის კონკრეტულ შედეგზე და იგი წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგის ნაწილს?

კ) სასწავლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ასევე ორგანიზების

ფორმა შეესაბამება სწავლის შედეგებს

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

პროგრამის სწავლის შედეგის მისაღწევად შერჩეულია ადეკვატური სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ასევე სწავლების ორგანიზების ფორმა.

განმარტებები:

სწავლების მეთოდი/მეთოდები-სასწავლო პროგრამის შინაარსის ნაწილი, რომელიც გულისხმობს მწვრთნელის მიერ სასწავლო პროგრამის მონაწილისათვის ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემის

ხერხებს და ეხმარება სასწავლო პროგრამის მონაწილეს სწავლის შედეგების მიღწევაში (ლექცია, ახსნა-განმარტება, გონებრივი იერიში, შემთხვევის შესწავლა და სხვა)

შეფასების მეთოდი - სასწავლო პროგრამის მონაწილის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, დისკუსია, პრეზენტაცია და სხვა)

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

სასწავლო პროგრამის ეფექტურობა დამოკიდებულია ადეკვატური სწავლის მეთოდების შერჩევაზე, შეფასების ავთენტურობასა და დაგეგმვის თავისებურებებზე.

სასწავლო პროგრამაში განსაზღვრული შეფასების მეთოდები და სწავლების ფორმები უნდა იყოს ადაპტირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან, რომ მათ ნამდვილად ასახონ სწავლის შედეგების მიღწევა.

მსმენელის მიღწევების შეფასების პროცესში მსმენელის მოსწრების რამდენიმე ან ერთი კომპონენტი უნდა იყოს გათვალისწინებული.

ქმედება, რომლის განხორციელება არის საჭირო შეფასების ეტაპისათვის:

- შეფასება ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს/შეფასების საშუალება/საშუალებებს
- წარმოდგენილია მსმენელის მიერ შესასრულებელი დავალების აღწერა
- განსაზღვრულია დავალების დადასტურების პირობები (თუ რა შემთხვევაში შეფასდება შესრულებული სამუშაო დადებითად ანუ განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი)
- განსაზღვრულია, რა სახის მტკიცებულება იქნება წარმოდგენილი სწავლის შედეგის/შედეგების დასადასტურებლად
- შერჩეული მტკიცებულება ვალიდურია (მიზნის შესაბამისია)
- შეფასებისათვის განსაზღვრული დრო საკმარისია შეფასების განსახორციელებლად
- შეფასება სასურველია იყოს არა მარტო შემაჯამებელი, არამედ -მიმდინარე⁴
- შეფასებისათვის განკუთვნილი დრო გათვალისწინებულია საკონტაქტო საათებში
- მონაცემების იდენტიფიკაცია უზრუნველყოფილია⁵

გ) საკონტროლო კითხვები

⁴ პროგრამის ეფექტიანობის გასაზომად შესაძლებელია წინასწარი შეფასების ტესტის გამოყენება.

⁵ სწავლების ორგანიზების ფორმა, სწავლებისა და შეფასების მეთოდები სასწავლო პროგრამასა და სასწავლო გეგმაში იდენტიფიცირებულია.

- ✓ სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო გარემო, ორგანიზების ფორმა, შესასწავლი თემები და სწავლის შედეგი?
- ✓ არჩეული სწავლების მეთოდებით მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგი?
- ✓ არჩეული შეფასების მეთოდებით იზომება პროგრამის სწავლის შედეგი?
- ✓ შეფასების მეთოდები ავთენტურია?
- ✓ შეფასების მტკიცებულება ვალიდურია?
- ✓ დავალების პირობები ნათელია?
- ✓ სწავლის შედეგი მიიღწევა სწავლების ორგანიზების შერჩეული ფორმის პირობებში?

ლ) სასწავლო პროგრამაში აღწერილი სასწავლო მასალა შერჩეულია პროგრამით გათვალისწინებული თემატიკის მიხედვით

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

სასწავლო პროგრამის მიმწოდებელმა პროგრამაში უნდა მიუთითოს ის სასწავლო მასალა, რომლის გამოყენებაც იგეგმება სასწავლო პროცესის წარმართვისა და პროგრამის თემების შესწავლის დროს.

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

სასწავლო მასალად შეიძლება მოიაზრობოდეს: საკითხავი ლიტერატურა ბეჭდური/ელექტრონული სახით, კანონები და კანონქვემდებარე აქტები, ტრენინგზე დასარიგებელი მასალა და ა.შ.)

საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მასალის გამოყენების შემთხვევაში, საკმარისია მათი რეკვიზიტების მითითება. გასათვალისწინებელია, რომ სასწავლო პროგრამა ფასდება (ექსპერტისა და ცენტრის მიერ) ელექტრონულად. ამდენად ბეჭდური სახელმძღვანელოსა და სხვა მონაწილისთვის დასარიგებელი მასალის გამოყენების შემთხვევაში, უნდა მიეთითოს მოძიების შესაძლებლობა.

თუ სასწავლო რესურსად გამოყენებულია მაგალითად „საქართველოს კონსტიტუცია“, უნდა მიეთითოს დოკუმენტის ის ნაწილი, რომელიც ადეკვატურია შესასწავლ თემებთან კავშირში და არა მთლიანი დოკუმენტი.

სასწავლო მასალა, რომელიც საყოველთაოდ არ არის ხელმისაწვდომი, უნდა დაერთოს სასწავლო პროგრამას (PDF) ფორმატით.

შესაძლებელია, პროგრამა, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, არ საჭიროებდეს სასწავლო მასალას ან პირიქით, აუცილებლად საჭიროებდეს მიმწოდებლის მიერ სპეციალური სახელმძღვანელოს (ე.წ. რიდერები, „ჰენდაუტები“) წარმოდგენას.

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ ადეკვატურად არის შერჩეული სასწავლო მასალა?
- ✓ სასწავლო მასალა ფარავს ყველა შესასწავლ თემას?

**მ) სასწავლო გეგმის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება სასწავლო პროგრამის
კრედიტების რაოდენობას**

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

სასწავლო გეგმის საათობრივი დატვირთვა გაანგარიშებულია პროგრამაში მითითებული კრედიტების შესაბამისად და განაწილებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათებად.

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

სასწავლო გეგმის ხანგრძლივობის დაგეგმვა უნდა განხორციელდეს (ECTS) კრედიტების შესაბამისად.

სასწავლო პროგრამაში მითითებული საათები უნდა ემთხვეოდეს სასწავლო გეგმაში მითითებული საათების ოდენობას.

კრედიტის გაანგარიშება პროგრამაში მითითებულის იდენტურია.

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ სასწავლო გეგმაში და პროგრამაში ერთი და იგივე რაოდენობის საათებია (საკონტაქტო და დამოუკიდებელი) მითითებული?
- ✓ სასწავლო გეგმაში და პროგრამაში კრედიტის გაანგარიშება იდენტურია?

**ნ) სასწავლო გეგმის შემადგენელი კომპონენტების განაწილება და მათ შორის
ურთიერთშესაბამისობა უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული
სწავლის შედეგების მიღწევას**

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

კრიტერიუმი ადგენს, არის თუ არა პროგრამის სასწავლო გეგმა ცენტრის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად შევსებული, მასში შემავალი კომპონენტები მართებულად აღწერილი და მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს თუ არა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თითოეული თემის შესასწავლად დათმობილი დრო განაწილებული უნდა იყოს დღეების, სესიების მიხედვით.

სესიები დაგეგმილი უნდა იყოს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებად.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თითოეული თემის შესასწავლად განსაზღვრული სწავლების მეთოდი და ორგანიზების ფორმა უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თითოეული თემის შესასწავლად განსაზღვრული სასწავლო მასალა და სასწავლო რესურსი უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას.

თითოეული თემის/თემების შესწავლის შემდგომ აღწერილია სწავლის შედეგი, რომელიც შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგთან,

სასწავლო გეგმაში მითითებული თემების ჩამონათვალი, საათების განაწილება (საკონტაქტო, დამოუკიდებელი, ჯამური), სწავლების და შეფასების მეთოდები, სასწავლო რესურსი და სასწავლო მასალა იდენტურია სასწავლო პროგრამაში მითითებული ინფორმაციისა.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა სატრენინგო დღეებზე გონივრულად უნდა იყოს გადანაწილებული და მსმენელის მიერ დაძლევადი.

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ სასწავლო გეგმა შემუშავებულია ცენტრის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად?
- ✓ სასწავლო გეგმის კომპონენტები აღწერილია?
- ✓ სასწავლო გეგმის კომპონენტები იდენტურია პროგრამაში მითითებული ინფორმაციის?
- ✓ სასწავლო გეგმა ლოგიკურად თანმიმდევრულია?
- ✓ სასწავლო გეგმის არსებული დაგეგმვით მიიღწევა სწავლის შედეგი?
- ✓ პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა?
- ✓ სატრენინგო დღეები თანმიმდევრულია, თუ მათ შორის გათვალისწინებულია ინტერვალი?

ო) სასწავლო პროგრამაში განსაზღვრულია სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები, რომლებითაც გათვალისწინებულია სულ მცირე, სერტიფიკატის გაცემის შემდეგი საფუძვლები: სასწავლო პროგრამის მონაწილის მიერ პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების არანაკლებ 80%-ზე დასწრება და საბოლოო დადებითი შეფასება, რომლის მისაღებად სასწავლო პროგრამის მონაწილემ უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 75%

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

კრიტერიუმი ადგენს სერტიფიკატის გაცემის კონკრეტულ პირობებს

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

სასწავლო პროგრამის მიმწოდებელი ვალდებულია შეიმუშაოს სერტიფიკატის გაცემის წესი. იგი არ იზღუდება დააწესოს დამატებითი პირობები ან შეიმუშაოს მსმენელთა დასწრებისა და მიღწევების შეფასების მინიმალური ზღვარზე მაღალი ბარიერი (განსაკუთრებით მიზანშეწონილია ეს მოკლევადიანი ტრენინგის შემთხვევაში).

სასწავლო პროგრამის მონაწილის მიერ პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების არანაკლებ 80%-ზე დასწრება სავალდებულოა, დაუშვებელია 80%-ზე ნაკლები ზღვრის დაწესება. საბოლოო დადებითი შეფასება განისაზღვრება მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 75%-ით, დაუშვებელია 75%-ზე ნაკლები ზღვრის დაწესება.

მსმენელი საბოლოოდ ფასდება სესიებზე მიღებული შედეგების დადებითი მონაცემების შეკრების საფუძველზე ან ერთჯერადად (პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე).

სწავლის შედეგი/შედეგები დადასტურებულია, თუ მსმენელმა ერთჯერადად ან რამდენიმე შეფასების მიხედვით (პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე) გადალახა პროგრამის მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სასწავლო კურსის წარმატებულად გავლის სერტიფიკატი გაიცემა მხოლოდ ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად. სხვა სახის სერტიფიკატი აღნიშნულ პროცესში კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული (მაგალითად: მოისმინა კურსი, დაესწრო კურსს და ა. შ).

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ *შემუშავებულია სერტიფიკატის გაცემის წესი?*
- ✓ *კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილია დასწრების მინიმალური ზღვარი?*
- ✓ *კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილია შეფასების მინიმალური ზღვარი?*
- ✓ *პროგრამას თან ახლავს სერტიფიკატის გაცემის წესი?*

პ) სასწავლო პროგრამას ახლავს უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული სერტიფიკატის გაცემის აღრიცხვის წესი

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

პროგრამის მიმწოდებელმა, გარდა სერტიფიკატის გაცემისა, უნდა განსაზღვროს ასევე სერტიფიკატის აღრიცხვის წესი.

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

სერტიფიკატის აღრიცხვის წესში მითითებული უნდა იყოს სისტემატიზებული მონაცემების ფორმის სახეობა (მაგალითად: სარეგისტრაციო ჟურნალი (ელექტრონული ან ქაღალდის მატარებლის სახით).

სასურველია დოკუმენტი მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) სასწავლო პროგრამის მონაწილის სახელი და გვარი, პირადი ნომერი

- ბ) სასწავლო პროგრამის სახელწოდება და ცენტრის სასწავლო პროგრამების რეესტრში რეგისტრაციის კოდი
 - გ) სასწავლო პროგრამის გავლის პერიოდი, თარიღი
 - დ) სერტიფიკატის ნომერი
 - ე) სერტიფიკატის გაცემის თარიღი
 - ვ) იმ მუნიციპალიტეტის დასახელება, რომლის მონაწილემ გაიარა სასწავლო პროგრამა
 - ზ) სასწავლო პროგრამის გავლის ადგილი
- სხვა

პროგრამის მიმწოდებელი არ იზღუდება კანონმდებლობის დაცვით სერტიფიკატის აღრიცხვის წესი დაარეგულიროს შეხედულებისამებრ და დაამტკიცოს.

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ *სერტიფიკატის აღრიცხვის წესი შემუშავებულია და დამტკიცებულია?*
- ✓ *შეთავაზებული აღრიცხვის წესი იძლევა მონაცემთა მოძიების შესაძლებლობას?*
- ✓ *შეთავაზებული აღრიცხვის წესში თავმოყრილია ყველა საჭირო რეკვიზიტი?*
- ✓ *პროგრამას თან ახლავს სერტიფიკატის აღრიცხვის წესი?*

ჟ) სასწავლო პროგრამას ახლავს უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული პროგრამის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს სასწავლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების ინსტრუმენტებს: სასწავლო პროგრამის მონაწილეთა მიერ სასწავლო პროგრამის შინაარსის, მისი რესურსებისა და მიწოდების შეფასების საშუალებებს, მეთოდებსა და სიხშირეს, ხოლო განმახორციელებლის მხრიდან - მისი შემდგომი ანალიზისა და გაუმჯობესების მექანიზმს.

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

კრიტერიუმი ადგენს, აქვს თუ არა სასწავლო პროგრამის მიმწოდებელს სასწავლო პროგრამის ხარისხის შეფასების სისტემა გაწერილი და რა ქმედით ღონისძიებებს მიმართავს პროგრამის ხარისხის ამაღლებისათვის.

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

სასწავლო პროგრამას უნდა ჰქონდეს ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც იქნება უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული.

„დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“-ციკლი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთი ცნობილი თავისებურებაა. ის გულისხმობს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემამ შემდეგნაირად უნდა იმუშაოს: პირველ ეტაპზე უნდა დაიგეგმოს, (მაგალითად, „სწავლების გეგმა“); მეორე ეტაპზე უნდა განხორციელდეს („განახორციელე“); მესამე ეტაპზე უნდა იყოს ჩართული კონტროლის მექანიზმები, თუ რა მუშაობს და რა არ მუშაობს, და, შესაბამისად,

მოიძებნოს მიზეზები („შეამოწმე“); საბოლოო ეტაპზე შედეგები უნდა შეჯამდეს და ამ შედეგებს ახალი ციკლის დაწყებისაკენ მიყვავართ („განავითარე“).

პროგრამის მიმწოდებელი არ იზღუდება შეიმუშაოს ხარისხის გაუმჯობესების სხვადასხვა ინსტრუმენტი, თუმცა აუცილებელია მას ჰქონდეს:

- სასწავლო პროგრამის მონაწილეთა მიერ სასწავლო პროგრამის შინაარსისა და შედეგების შეფასების ინსტრუმენტი.
- სასწავლო პროგრამის მონაწილეთა მიერ სასწავლო პროგრამის რესურსების შეფასების ინსტრუმენტი.
- სასწავლო პროგრამის მონაწილეთა მიერ სასწავლო პროგრამის მიწოდების შეფასების ინსტრუმენტი.

უნდა ჰქონდეს დაგეგმილი კმაყოფილების კვლევის მეთოდები და ჩატარების სიხშირე, ასევე ხარისხის გაუმჯობესებისათვის შემდგომი ანალიზის პროცედურები და პროგრამაში მისი ასახვის გზები.

სასწავლო პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართულნი არიან მასწავლებლები/ტრენერები, მსმენელები და, შესაძლოა, სხვა მოქმედი პირები პროგრამის მიმწოდებელ დაწესებულებებში და მის გარეთ.

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ შემუშავებული და დამტკიცებულია პროგრამის შეფასების სისტემა?
- ✓ არსებული პროცედურები რაციონალურადაა შერჩეული?
- ✓ შემოწმების ვადები რეალისტურია?
- ✓ შეფასების მეთოდოლოგიის განხორციელებისათვის შემუშავებულია ადეკვატური ფორმები?
- ✓ სასწავლო პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართულნი არიან მასწავლებლები/ტრენერები და მსმენელები?
- ✓ როგორია ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროცედურები?

სტანდარტი 2: სასწავლო პროგრამის რესურსები

სასწავლო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს მისი მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელ სასწავლო გარემოს, სასწავლო და ადამიანურ რესურსებს.

სასწავლო პროგრამა შეესაბამება სასწავლო პროგრამის რესურსების სტანდარტს, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს

ა) სასწავლო პროგრამის განსახორციელებლად არსებობს შესაბამისი სასწავლო გარემო და სასწავლო რესურსი, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის და მიზნების რეალიზებისათვის აუცილებელია შესაბამისი სასწავლო რესურსით აღჭურვილი სასწავლო გარემო და მსმენელი.

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

სასწავლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისათვის აუცილებელია, სასწავლო პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე, მისი მიწოდებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის არსებობა, რომელიც შესაბამისობაში იქნება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან.

პროგრამის მიმწოდებელს უნდა ჰქონდეს არსებული სასწავლო გარემოს ფლობის ან სარგებლობის უფლება, კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად. მიმწოდებელის მიერ სასწავლო პროგრამის წარმოდგენის ელექტრონულ სისტემაში (პორტალი) (<http://edu.lsg.gov.ge/>) დეტალურად უნდა აღიწეროს სასწავლო გარემო საჭირო სასწავლო რესურსით და ამ გარემოს სარგებლობის პირობები და რეკვიზიტები.

სასწავლო პროგრამისათვის დაგეგმილი სასწავლო გარემო და სასწავლო რესურსი უნდა იყოს ადეკვატურად შერჩეული და იძლეოდეს პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების შესაძლებლობას.

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ პროგრამას აქვს სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო გარემო?
- ✓ პროგრამას აქვს ადეკვატური სასწავლო რესურსი?
- ✓ სასწავლო რესურსის შერჩევისას გათვალისწინებულია პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები?
- ✓ სასწავლო რესურსი შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს?

ბ) სასწავლო პროგრამას ახორციელებს მწვრთნელი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და სწავლების არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

სასწავლო პროგრამის განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის მწვრთნელს.

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

სასწავლო პროგრამის მწვრთნელს კანონმდებლობა უსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კერძოდ:

- პროგრამის მწვრთნელს უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი განათლება (დასტურდება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით).
- პროგრამის მწვრთნელს სწავლების გამოცდილება არ შეიძლება იყოს 3 წელზე ნაკლები (დასტურდება პირის პერსონალური მონაცემებით). სწავლებაში იგულისხმება ნებისმიერი ტიპის სასწავლო საქმიანობა.

სასწავლო პროგრამაში შესაძლებელია ჩართული იყოს მწვრთნელის ასისტენტი/დამხმარე, რომელზეც არ ვრცელდება ზემოაღნიშნული მოთხოვნები.

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ სასწავლო პროგრამის მწვრთნელს აქვს უმაღლესი განათლება?
- ✓ სასწავლო პროგრამის მწვრთნელს აქვს სწავლების არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება?

გ) მწვრთნელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

კრიტერიუმი ამოწმებს მწვრთნელთან გაფორმებული ხელშეკრულების სამართლებრივ სისწორეს.

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

მწვრთნელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

სასწავლო პროგრამების წარმოდგენის ფორმაში მიეთითება ხელშეკრულების რეკვიზიტები, მისი მოქმედების ვადა და სხვა.

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ მწვრთნელთან გაფორმებული ხელშეკრულება შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს?

დ) სასწავლო პროგრამის განსახორციელებლად არსებობს შესაბამისი სასწავლო მასალა

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

კრიტერიუმი ადგენს სასწავლო მასალის არსებობის შესაძლებლობას სასწავლო პროგრამის განხორციელებისთვის.

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

პროგრამის სასწავლო მასალისადმი წაყენებული შინაარსობრივი მოთხოვნები განხილულია პროგრამის შინაარსის სტანდარტში. ამ კრიტერიუმში განსაზღვრია მხოლოდ მისი არსებობა ან არარსებობის დასაბუთება

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ პროგრამას აქვს სასწავლო მასალა?
- ✓ თუ არ ახლავს? რატომ? დაასაბუთეთ

ე) სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის მიერ შემუშავებული სერტიფიკატის ფორმა შეესაბამება „სპეციალური სტანდარტების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს

ა) კრიტერიუმების აღწერა/განმარტება

კრიტერიუმში ადგენს სერტიფიკატის ფორმის შესაბამისობას ცენტრის დირექტორის 2016 წლის 1 მარტი №6/6 ბრძანების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან.

ბ) კრიტერიუმების დასაბუთება/დაკმაყოფილების პირობები

სერტიფიკატის ფორმაზე პოლიგრაფიული წესით აღნიშნული უნდა იყოს:

- ა) სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის სრული დასახელება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით)
- ბ) სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის ლოგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- გ) ცენტრის ლოგო
- დ) სასწავლო პროგრამის დასახელება და ცენტრის სასწავლო პროგრამების რეესტრში მისი რეგისტრაციის კოდი
- ე) კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად განსაზღვრული სასწავლო პროგრამის მოცულობა
- ვ) სასწავლო პროგრამის იმ მონაწილის სახელი, გვარი და პირადი ნომერი, რომელსაც გადაეცა სერტიფიკატი
- ზ) სასწავლო პროგრამის გავლის პერიოდი (რიცხვი/თვე/წელი)
- თ) სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერა
- ი) სერტიფიკატის გაცემის თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)
- კ) სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის ბეჭედი
- ლ) სერტიფიკატის სარეგისტრაციო ნომერი სერტიფიკატების სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით

სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის მიერ გაცემული სერტიფიკატი შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და, სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის გადაწყვეტილებით, რომელიმე უცხოურ ენაზე/ენებზე.

ზემოაღნიშნული მონაცემების გარდა, სერტიფიკატი შესაძლებელია შეიცავდეს სასწავლო პროგრამის მიმწოდებლის მიერ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას, რომლის სერტიფიკატზე ასახვა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

გ) საკონტროლო კითხვები

- ✓ სერტიფიკატის ფორმა მოიცავს ყველა ზემოაღნიშნულ ინფორმაციას?
- ✓ ორენოვანი სერტიფიკატის შემთხვევაში, იდენტურია ინფორმაცია?

სასწავლო პროგრამასა და სასწავლო გეგმაზე მუშაობის დასრულების შემდგომ, კანონმდებლობის შესაბამისად უნდა შემუშავდეს თანდართული დოკუმენტაცია. ქვემოთ ჩამოთვლილი შემოწმების ფურცლები მნიშვნელოვანია ყველა დოკუმენტის (სასწავლო კომპონენტების) სრულფასოვნად არსებობის შემოწმებისთვის.

სასწავლო პროგრამის შემოწმების ფურცელი

✓ მონიშნეთ სიმბოლოთი

სასწავლო პროგრამის არქიტექტონიკა/კომპონენტები	კი	არა
პროგრამის სახელწოდება		
პროგრამის მიზნები		
დაშვების წინაპირობა		
სამიზნე ჯგუფი		
პროგრამის აღწერა		
პროგრამის თემების		

ჩამონათვალი		
სწავლის შედეგები: ა) ცოდნა ბ) უნარები		
სწავლების ორგანიზების ფორმა		
მონაწილეთა რაოდენობა		
კრედიტების რაოდენობა		
საათების გაანგარიშება		
სწავლების მეთოდები		
შეფასების მეთოდები		
დასწრების ზღვარი		
შეფასების ზღვარი		

სასწავლო გეგმის შემოწმების ფურცელი

სასწავლო გეგმის კომპონენტები	კი	არა
თემები		
სესიები და დღეები		
საკონტაქტო საათები		
დამოუკიდებელი მუშაობის საათები		
ჯამური საათები		

სწავლების მეთოდები		
ორგანიზების ფორმა		
შეფასების მეთოდები		
სწავლის შედეგები		
სასწავლო რესურსი		
სასწავლო მასალა		
მწვრთნელი/მწვრთნელები		

დამატებითი დოკუმენტაციის შემოწმების ფურცელი

დამატებითი დოკუმენტაცია	კი	არა
ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში, ინფორმაციას საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა რეესტრიდან		
სასწავლო პროგრამის შეფასების სისტემა		
სასწავლო პროგრამის სერტიფიკატის ფორმა		
სასწავლო პროგრამის სერტიფიკატის გაცემის აღრიცხვის წესი		

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემების დადგენის ანგარიში		
სასწავლო მასალა, რომელიც არ არის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი		
მწვრთნელის/მწვრთნელების კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემების წარმოდგენის ფორმა (CV)		
ფორმატი PDF		

სასწავლო პროგრამის წარდგენის და შეფასებისას გამოკვეთილი გამოწვევები

პროგრამის მიმწოდებლის მიერ წარდგენილ სასწავლო პროგრამებში ექსპერტთა და ცენტრის მიერ შეფასების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი გამოწვევები:

- პროგრამის მიზნების ზოგადი ხასიათი და ბუნდოვანება
- კრედიტების არასწორი გაანგარიშება და შეუსაბამობა კანონმდებლობასთან
- სწავლის შედეგების სწორად ფორმულირების პრობლემა;
- სწავლის შედეგების გაწერა ცოდნისა და უნარების ასპექტში
- შეფასების ფორმების/ინსტრუმენტების ჩაშლა
- სასწავლო პროგრამისა და სასწავლო გეგმის კომპონენტების აცდენა
- სწავლების მეთოდისა და ორგანიზების ფორმის გამიჯვნის პრობლემა
- შესასწავლი თემების დადგენის ანგარიშის არასწორად გაგება
- სასწავლო გეგმის ორგანიზების არასწორი დაგეგმვა
- სერტიფიკატის გაცემის წესის კანონმდებლობასთან შეუსაბამობა
- ხარისხის შეფასების სისტემის არასებობა ან ნაკლოვანება
- სასწავლო მასალის საჭირო ნაწილების სწორად მითითება
- ცენტრის მიერ დადგენილი სასწავლო გეგმის ფორმის ცვლილება

- სასწავლო პროგრამის წარმოდგენის ელექტრონულ სისტემაში (პორტალი) არასრული ინფორმაციის ასახვა (<http://edu.lsg.gov.ge/>)⁶

სასწავლო პროგრამების განხორციელების ძირითადი სამართლებრივი რეგულაცია

„ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამ(ებ)ის რეგისტრაციის წესი და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სასწავლო პროგრამ(ებ)ის სპეციალური სტანდარტები“ დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვანო ხუბუნიაშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 1 მარტი №ს/6 ბრძანებით

- „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამ(ებ)ის რეგისტრაციის წესი“, დანართი №1
- „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის სასწავლო პროგრამ(ებ)ის სპეციალური სტანდარტები“- დანართი №2
- „სასწავლო პროგრამის სარეგისტრაციო განცხადების წარმოდგენის ფორმა“ - დანართი №3
- „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სასწავლო პროგრამის წარმოდგენის ფორმა“ - დანართი №4
- „სასწავლო გეგმის წარმოდგენის ფორმა“ - დანართი №5
- „მწვრთნელის/მწვრთნელების კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემების წარმოდგენის ფორმა“ - დანართი №6
- „სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შესასწავლი თემების დადგენის ანგარიშის წარმოდგენის ფორმა“-დანართი №7
- „ექსპერტის შუალედური დასკვნის ფორმა“ - დანართი №8
- „სასწავლო პროგრამის შეფასების საბოლოო დასკვნის ფორმა“ - დანართი №9

⁶ პროგრამის მიმწოდებელმა პროგრამების რეგისტრაციისას უნდა გადაამოწმოს, აიტვირთა თუ არა პორტალზე ინფორმაცია სრულად და ხარვეზის შემთხვევაში, აცნობოს ცენტრს